№ 71. 3 აპრილი, პარასკევი. 1866—1881 3 აპრილი, პარასკევი. № 71.

რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე, ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა
მიიღება თფილისში „დროების“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროების-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიას სახლში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით სტრიქონზე 10 კაპ., წვრილი ასოებით სტრიქონზე ნახევარი [illegible] ... ასოზე შემთხვევა კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროების“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

ცალკე ნომრები

„დროებისა“

თფილისში ისყიდება: შაჰერდოვის გაზეთის სააგენტოში, აზნაუროვის თამბაქოს მაღაზიაში, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, არუთინოვის მაღაზიაში (ქუკიის ხიდს გაღმა, ვარანცოვის ძეგლის პირ-და-პირ), შუა ბაზრის თავში (ჯანჯულაზოვის სახლებში კანდიტერის მაღაზიაში) და თვითონ რედაქციაში (პროსპექტზე თავ. ივ. მუხრანსკის სახლებში).

ქუთაისში ივ. ნიკოლაძის და შვილების მოდის მაღაზიაში და გერარდის წიგნის მაღაზიაში.

ამას გარდა ფოთი-თფილისის რკინის გზის ვაგონებში კანდუქტორებთან.

## ტელეგრამმა

—

პეტერბურღი, 1 აპრილს. „მმართებულობის მოამბეში დაბეჭდილია: გაზეთის „ზემსტვოს“ მე-17 ნომრის შინაურ მიმოხილვაში და „გოლოსის“ მე-90 ნომრის წინა სტატიაში მოყვანილია შეუსაბამო მსჯელობა ზოგიერთ მაღალ წოდების პირებზედ, რომელთაც უმაღლეს თანამდებობა უჭირავთ; ამის გამო შინაგან საქმეთა მინისტერმა გარდაწყვიტა: გამოეცხადოს გაზეთს „ზემსტვოს“ პირველი გაფრთხილება და „გოლოსს“ კი მეორე.

გაზეთებში იყო მოხსენებული, რომ მიცვალებულ დიდი კნეინის მარიამ ნიკოლოზის ასულის სასახლეში მზადდებოდა ასაფეთქი ყუმბარებიო; ოფიციალურათ გამოცხადებულია, რომ ეს ამბავი ტყუილიაო.

გამოცხადებულია ახალი წესდება თბილისის თავად-აზნაურთა სათავადაზნაურო-მამულო ბანკისა. ბანკს მიენიჭება უფლება გასცეს სესხი დაგირავებულ მამულთა მეპატრონეების ერთიერთმანეთის თავდებობით პასუხისმგებელ გირაოს ფურცლებითა. სხვაგვარ გირაოს ფურცლებით სესხის გაცემა კი მოისპობა.

---

ტფილისი, 2 აპრილს.

რუსულ გაზეთებში ბევრს იწერებიან ახლა იმ უმაღლესს განკარგულებაზე, რომელიც გაელილ 18 მარტს გამოიცა და რომლის ძალითაც პეტერბურღის მცხოვრებლებს წინადადება მიეცათ—უბან-უბან ამოირჩიონ 225 წარმომადგენელი და ამ 225 წარმომადგენელთა, თავის მხრით, და თავის შორის, ამოირჩიონ 25 კაცი—წევრი ქალაქ-მთავრის რჩევასა.

დანიშნულება ამ რჩევასა უმაღლესის ბრძანებით, არის დაფარვა პეტერბურღისა იმ ბოროტ-მოქმედ პირთაგან, რომელნიც რუსეთის სახელმწიფო წყობილებას შერყევასა და დარღვევას ემუქრებიან და ისეთ სახსრების ხმარება, რომლის შემწეობითაც შესაძლებელი იყოს ამ გვარ ბოროტ-მოქმედებათა მოსპობა.

თითქმის ყველა რუსული გაზეთები ალტაცებაში მოვიდნენ ამ განკარგულებით. ამბობდნენ: ხელმწიფე იმპერატორმა თვითონ ხალხი, იმის წარმომადგენლები მოიხმო მთავრობის დასახმარებლად; ეს კარგი ნიშანია: ეტყობა, ხალხსაც ეძლევა რაიმე ხმა, იმასაც მიენიჭება ცოტაოდენი მაინც უფლება სახელმწიფო, საერო საქმეების გამგეობაშიო! მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ ხსენებული რჩევა სრულებით ამ აზრით არ ყოფილა დაწესებული...

18 მარტს რომ უმაღლესი ბრძანება გამოვიდა, მეორე დღესვე, 19-ს, პეტერბურღის ქალაქ-მთავრის (გრადონაჩალნიკის) განკარგულებით, აფიცრებმა, ჩინოვნიკებმა და ქალაქის რჩევის ხმოსნებმა დაიარეს ყველა სახლების პატრონები და იმათი მდგმურები და კენჭი მოაგროვეს. ასე აჩქარებით კენჭის-ყრისა და არჩევანისაგან ბევრი უწესოება მოხდა: ზოგიერთებმა არც-კი იცოდნენ—რისთვის თხოულობდნენ იმათგან კანდიდატის ამორჩევას, არ იცოდნენ ვინ ამოერჩიათ და როგორ. ამბობენ, ზოგიერთ ქალებს გულიც კი შემოეყარათ შიშითაო, როდესაც ღამის პირველ და მეორე საათზე პოლიციის აფიცრები მიადგნენ იმათ კანდიდატების სიითაო. მგონათ, დაჭერას გვიპირებენო და სხვ.

მეორე დღეს უბნებიდამ ამორჩეულ 225 წარმომადგენელთაგან ამოარჩიეს 25 კაცი, რომელიც იყო ნამდვილი რჩევა ქალაქ-მთავრისა, ნამდვილი წარმომადგენელი პეტერბურღისა. მესამე დღეს საქმეს შეუდგნენ.

პირველი განკარგულება, რომელიც ამ რჩევამ მოახდინა, იყო პეტერბურღის გარშემო ზასტავების (საბაჟოების) გაკეთება და ყველა ამ საბაჟოებზე ყარაულების დაყენება, რომელნიც უბილეთოდ არავის არ უშვებდნენ არც იქით და არც აქეთ.

მეორე განკარგულება რჩევის, რევოლიუციონერების მოსასპობელად და წესიერების დასადგენად, იყო ბირჟის იზვოსჩიკებისათვის ტაქსის განწესება...

ამის მეტი ხსენებულ რჩევას ჯერ-ჯერობით არავითარი განკარგულება არ მოუხდენია, არავითარი ისეთი სახსარი არ მოუგონი, რომლის შემწეობითაც იმას შეეძლოს „რევოლიუციონერებისა იმათ ბოროტ-განზრახულებისაგან“ აღელვებულ ხალხის დამშვიდება და წესიერების ჩამოგდება. მაგრამ ერთი ამ სახსართაგანი საბაჟოების გამართვა, — როგორც დღევანდელის ფოსტით მოსული პეტერბურღის გაზეთები გვატყობინებენ, ისეთი შეუსაბამო დი შემავიწროებელი გამოდგარა ხალხისათვის, რომ რჩევას უკვე მოუსპია ყველგან ეს საბაჟოები...

მაგრამ რუსული გაზეთები არ ამტყუვნებენ ამ რჩევას, რომელსაც ჯერ-ჯერობით ცოტა ნაყოფი მოაქვსო და თავის პირ-და-პირ მიზნის აღსასრულებლად არა გაუკეთებიარაო. ხსენებულ გაზეთების აზრით, უმთავრესი ნაკლულევანება და დამაბრკოლებელი მიზეზი რჩევისა ის გარემოებაა, რომ თვითონ ამ რჩევის წევრებს უფლება არა აქვსთ, რომელიმე თავის წინადადება ანუ აზრი შეიტანონ განსახილველად რჩევაში; იმას შეუძლიან მხოლოთ იმ საგანზე და იმ წინადადებაზე მოილაპარაკოს, იქონიოს სჯა, რომელსაც თვითონ ქალაქ-მთავარი წარუდგენს მას.

## ახალი ამბები.

—

დღეს, პარასკევ სალამოს, დანიშნულია ქალაქის რჩევის ჩვეულებრივი სხდომა.

***

---

«დროების» ფელეტონი, 3 აპრილს.

## ი მ ე !

იმე! რა ყოფილა ის ვინცხა ბახტაძეა, თუ ბახტაძე? რავა „არა მკითხე მიანბესავით“ გამოხტა და წეიგძელა ენა!.. ბოშო! რო ტლიკინოფ, რას ტლიკინოფ? ვინ გკითხავს შენ „ბარი ათ შაურათ არიო“? ჩვენ ამორჩეულებს რომ დაცინი, რავა ბედამ შენ მაგას? მაგენი შენი ტოლები გგონია თუ?!. შენისთანა ლელიპები ვაგლახათ სალამსაც ვერ უნდა უბედავდენ მაგენს!..

ჩვენ დეპუნტანტებს დაცინის... ღმერთო, კი მომკალი ახლა და სულიც ამომახდინე!.. მოდი და ნუ გასკდები ზე კ...კალ გულზე... დედა! დე...და! დე...და!.. რა უხიაგი დრო შამოვიდა, რომ ლლაპებიც კი ნახირში ერევიან...

ბოშო! შე უბედურო მაქანე განა მიტომ გაგაგზანეს, რო ქვეყნის საქმე ეძიეო?..

შენი საქმე ის არის, რომ მაქანა ცოტა ისტაველო რამე, გაათაო შკოლა, მერე ჩამოხვიდე ჩვენში და კაი ატუკანტობა ივდო ხელში, ან სუდიაპოპოშნიკობა და მერე ყელიფო და ყელიფო ხალხი... აბა მაშინ გეტყვიან კაი ბიჭს, თვარა წაგიგდია ენა და ტლიკინობ გაზეთებში, რასაც არ გკითხავენ!.. ახი კი იქნება თქვენზედ რომ ჩვენმა დეპუნტანტებმა ასე ითხოვონ: „აქანეი ეს ბალნები პლუტდებიან, მერე ჩამოდიან ჩვენში, ქვეყანას აპლუტებენ: კანონსა და სიმართლეს თხოულობენ და მითი ხალხს აბრიყვებენ, აორგულებენ და მიიღეთ მოწყალება: როზგი მაგათ-თქო. და ნულა დავიბრუნებთო!.. მაგათთანები სხვებიც წეიყვანეთ, მოაშორეთ ქვეყანასო!“

თქვენ ვერ შეიტყობდით, თვარა ეს ნათხოვია იქნება ასთე...

„მისაკოსებელი ითხოვესო“ რომ უნბოფ, რა უყოთ მერე? ქაი უქნიათ! ქვეყანა მიკოსებ-მოკოსებით კეთდება! თქვენ თუ არაფელი გაკოსიათ, მიტომაცა ხართ გატვლეპილი და ცერ-ამოგდებულები!

რაც საჭიროა ქვეყნისათვის ახლა შენ უკვეთ ici, ბოშო, მაგენზე?.. თქვენ არ ყოფილხართ ადრე, მარა ქვე გვითხოვია რაც გვდომებია და რაც გვკლებია.

ნიკოლოზ ხემწიფე რო მობძანდა, მაშინ გვიბძანა შემატყობიეთ თქვენი გასაჭირი, მთხოვეთ და, რაც უნდა იყოს, შეგისრულებთო; და იცით ჩვენ რა ვთხოვეთ? გურულებმა—მარილი და იმერლებმა—ბუკი და ქართ-კახეთმა—დილმის მინდორი მუხრანბატონის საჩუქრათ!..

მასუკანაც ვინც კი მობძანდება, ყველას ვთხოვთ ხოლმე... „ესე და ეს დამნაშავე“, ესე და ეს გაგზანილი ციმბირში გამოუშვით, გვაპატიეთ, თვარა წახდა ქვეყანა-თქო! და ისინიც შეიწყნარებენ ხოლმე ჩვენს ვედრებას. აპა!..

წინანდელ სხდომაზე ქალაქის რჩევამ გაათავა განხილვა გამგეობისაგან შედგენილის ცხენის რკინის გზის პროექტისა. ამ პროექტსა და დევექცკის კამპანიის პროექტს შუა ბევრი არაფერი ვანსხვავება არ არის; ამის გამო, ამბობენ, თფილისში ცხენის რკინის გზის გაყვანა ხსენებულ დევექცკის კამპანიას ექნება მინდობილი.

ამ საგანზე შემდეგში უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკებთ.

* * *

გაზეთს „თფილისის განცხადებებში“ დაბეჭდილია, რომ თფილისის გამგეობის ხაზინადარმა ბ-მა მ. შადინოემა მიატოვა თავის თანამდებობა, რადგან იმის თაობაზედ ქალაქში რაღაც ცუდი ხმები დადიოდა.

* * *

იმ „ფერდის“ ავათმყოფობის შესახებ, რომელზედაც ამას წინათაც იყო ჩვენს გაზეთში რამდენიმე სიტყვა მოყვანილი, ახლა კიდევ შემდეგ ცნობებს გვწერენ ზემო იმერეთიდამ:

„ეს მეორე კვირაა, რაღაც ახირებული ავათ-მყოფობა გაჩნდა ჩვენში: ჯერ შეაციებს კაცს, მერე სისხლს მისცემს და ფერდებზე მჭვალები დაადგება. სამ დღეს საშინლად წვალობს ამისთანა ავათ-მყოფი და მერე სულს განუტევებს.

„უველაზედ ბევრი უმსხვერპლია ამ ავათმყოფობას სოფ. შოყოვეთში, ძაცხის საზოგადოებაში და სოფ. რგანს. ამ უკანასკნელს სოფელში ჯერ-ჯერობით ას-ოცი სული მომკვდარა.

„ძაცხის მამასახლისს გაჩენისა-თანავე ამ სენისა, მოუხსენებია მაზრის უფროსისათვის ეს ამბავი, მაგრამ დღემდინ არავითარი განკარგულება არ მოუხდენიათ ამ საგანზედა.

„ხალხი ძლიერ შეშინებულია: გაუხდებათ თუ არა ვინმე ავათ იმ წამსვე ტყეში ან სადმე შორის გადახიზნავენ; არც საჭმელ-სასმელი, არც ცეცხლი მისთვის, ადამიანიც არ ეკარება; და, რასაკვირველია, მოსარჩენიც რომ იყოს, მოუვლელობით კვდებიან.

„გთხოვთ ეს ამბავი დაბეჭდოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში, იქნება დროზე მოაშველონ ექიმი, თორემ ქართულ ანდაზასავით მოუვა ხალხს: პეტრეს მისვლამდინ, პავლეს ტყავი გაძრესო“.

* * *

დღეს, საღამოს შვიდ საათზე, არის მეთოთხმეტე სხდომა ვეფხის-ტყაოსნის რედაქციისა.

## რუსეთის ამბები.

სამუდამოთ მცველებად ხელმწიფე იმპერატორისა, იწერება გაზ. „გოლოსი,“ უნდა შესდგეს საპატიო კანვოი მისი უდიდებულესობისა იმისდა-გვარ, როგორც წარსულ ომიანობის დროს განსვენებულ იმპერატორს ახლდა ბრძოლის ველზედ. ომიანობის გათავების შემდეგ ეს მცველელთა კანვოი დათხოვნილი იყო, მაგრამ ეხლა ისევ სდგება და მუდამ სასახლეში იცხოვრებს იმპერატორის მცველად.

— გაზეთს „ნოვოსტში“ სწერია, რომ, როგორც ზასტავები, ისე ცხენოსანი ყარაულები, რომლებიც პეტერბურღის გარშემო დაამწესეს, გაუქმდნენო, და ქალაქში მისვლა-მოსვლა ეხლა არავითარ დაბრკოლებას არ შეადგენსო.

— ყაზანიდამ სწერენ გაზ. „რუსის უწყებებში,“ რომ ადგილობრივ საგიჟო საავათმყოფოში მიუყვანიათ ამ ცოტა ხანში მოსარჩენად: ბ. ბოგილიუბოვი, რომელსაც ციმბირი, კატორღა, აქვს გარდაწყვეტილი, პეტერბურღში, ყაზანის მოედანზე, დემონსტრაციაში (უწესოებაში) მონაწილეობის მიღებისათვის და ქალი მალინოვსკისა, რომელსაც დასასახლებლათ აქვს გარდაწყვეტილი ციმბირი, წასრული წლის ექიმის ვეიმარის პოლიტიკურ პროცესის დროს.

— ის ალაგი, რომელზედაც ხელმწიფე იმპერატორი მოჰკლეს, საყოველთაო სათაყვანისცემლათ გახდაო, სწერენ გაზ. „მოსკოვ. ტელეგრ.“ ყოველ დღე, დილით საღამდის აუარებელი ხალხი დაიარება აქ. მთელი ალაგი, თითქმის 12 საჟენზედ სულ იატაკითაა ამ ჟამად მოფენილიო, და შამორტყმული შავი მაუდით.

— გაზეთს „პორიადოკში“ სწერია, რომ მოკლე ხანში მოხდება საპოლიციო უწყებაში ცვლილება, რომლის ძალითაც უმეტესი ნაწილი ერობისა (**земство**) და აგრეთვე კერძო საზოგადოებები და პირები განთავისუფლებულნი იქნებიან ყოველ წლიურ გარდასახადისაგან პოლიციის მმართველების სასარგებლოთაო.

— ზოგიერთ სამსახურის პირებზე, რომელნიც იყვნენ დაყენებულნი პატარა ბალის ქუჩაზედ, საცა განსვენებული იმპერატორი გაივლიდა, წესიერების დასაცველად, გამოძიება არის დანიშნული, რადგან მათ რიგიანად ვერ დაიცვ.ს ეს წესიერებაო. ეს საქმე უკვე გარდაცემული აქვს პროკურორს.

— შვეიცარიიდამ იწერებიან, რომ რუდოლფ ფაჩინოს დინამიტის ქარხნიდამ, ლუგანოში, ამ ცოტა ხანში მოუპ.რ.ვთ 6 ფუთამდე ამ ასაფეთქი მასალასი. გამოძიები დაუნიშნავთ.

## „დროების“ კორრესპონდენცია.

—

**საინგილო**, 19 მარტს. წლევანდელი წელიწადი ჯერჯერობით მომავალ სარჩოზედ ბევრ კეთილს გვახარებს: თავის დროზედ წყნარი ჟუჟუნა წვიმები და თფილი დღეები. ჰქვეყნის ზურგი მოირთო მწვანით და ზოგ-და-ზოგ ადგილებში აჰყვავდა სხვა-და-სხვა ყვავილებითა. ხეებიც ჰფარავს თავიანთ სიტიტვლეს, ჰყვავდებიან და ნელ-ნელა გამოაქვთ ფურცლები და რამდენსამე დღეს შემდეგ შეიმოსებიან.

ვერსად ვერ ხედვენ თაგვებსა და კალიის კვერცხებზედ ჯერ-ჯერობით არა ისმის-რა.

სულადიც: ხორბალი, ქერი, ფეტვი, და ჩალთუკი, ძრიელ დაიაფდა. წარსულ ღვინობისთვეში თალარი ხორბალი, რომელიც შეიცავს შვიდ ფუთ ნახევარს, იყიდებოდა 16 მანეთად, ქერი—8 მანეთად, ფეტვიც—8 მანეთად, ჩალთუკი—10 მანეთად. ბევრმა პეტრუზამ, ძარაპეტამ, ოჰანეზამ და სხვებმა რამდენიმე ას-ასი თალარი ზევით ხსენებულ ფასათ იყიდეს ამ განზრახვით, რომ გაზაფხულზედ ერთი ორად გახდება და ბევრ ფულებს მოვიგებთო. მაგრამ, ვენაცვალე ღვთის განგებას, წინანდელი ფასი შუაზე გაიყო და პოლოსაების ბედი ჯერ-ჯერობით უკუღმა დაბრუნდა: ეხლა ხორბალი ფასობს თალარი 7 მანეთი, ქერი—4 მან., ჩალთუკი და ფეტვი—4 მან. და 40 კაპ. და ასე დარდით სივდებიან ჩვენი ჯიბის გამცარცველნი. მაგრამ არა უშავს-რა: მოგება და ზარალი ძმანი არიან. ჰქვეყნის საკეთილ დღეოთ ამისთანა პირნი ჭირის-სანაცვლონი იყვნენ.

თუმცა მოსავალს კარგი პირი უჩანს და იაფობა არის, მაგრამ ქურდობა, კაცის კვლა უანგარიშო არის. თუ ამისთანა ქურდობას ბოლო არ მოეღო, გლეხი-კაცი კვალს ვერ გაადაბრუნებს და მომავალ სარჩოს ვეღარ გააკეთებს. ღამე არ გავა, რომ სოფლიდგან ულელი ყევარი საქონელი არ გაიყვანონ ქურდულათ, ორი სამი თოფი არ გავარდეს. გაიგებ თუ არა თოფის ხმას, მაშინვე უნდა იფიქრო: ან კაცის მოკვლა, ან მტრისგან ოხრება. წარსული წლის აგვისტოს აქეთ, რაც ძარპინსკი მოგვივიდა ნაიბად, რვა კაცი მომკვდარა თოფით და ხანჯლით ძაკის უჩასტკაში. ამოდენა ხალხის დახოცვა და ქურდობა როგორც ამბობენ აქაურები, არა ყოფილა თვით შამილის დროსაცო.

მაშ ეხლა რაღაა მიზეზი ამისთანა ბოროტ-მოქმედებისა? ამას არ ვიტყვი;—ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ბატ. ძარ—კი იშვიათად გაივლის თავის უჩასტკაში, თუმცა მაშინაც წამალს არა სდებს. მავრამ ვაი იმისი ბრალი, ვინც გზაში შემომხვდომი, ქუდს მოწიწებით არ მოუხდის და სალამს არ მისცემს!

ერთხელ ალიბეგლოს ახლად-განწესებული პრიჩედნიკი დ. ა—ვი როგორც უცხო მხრის კაცი უცნობი ძარ—კის მაღალ-ღირსებისა, გზის პირზედ მწოლარე, არ ადგომოდა ძ—ს, მოწიწებით ქუდი არ მოეხადნა და სალამი არ მიეცა. ეს საწყინოთ მიელო ბატ. ძარ—კის, მიესიებინა 6 იასაული

---

რაც გვეჭირვება ჩვენ უკვეთ ვიცით აქ და თქვენ ბალნებო მაქანეი ნუ წაგიგდიათ ენა, ნუ ტიტინობთ, თვარა მე ვიცი თქვენ კაი სიზმარს ვერ ნახავთ!..

ნეტაი ახლა ამ აპრილში აქანეი იყო ქუთეისში. თავად-აზნაურობის კრებაა ბანკის თავჯდომარეს ამოსარჩევათ და იქ რომ გამოერეოდი, მაშინ გიჩვენებდენ შენ სეირას. ასე გაგხდიდენ, ასე, ასე, რომ რიონიც ვეღარ გაგრეცხავდა შე უბედურო, შენ!.. თუ ჭკუას გერჩის, ჩახედი გონებაში და მეტს ნულარას იტყვი, თვარა... თვარა... როძგი!..

იმერელი.

*P. S.* აპა ახირებული თუ გინდა ახლა ეს არი! ჩვენ ბიჭ-ბუჭებზედ ვანბობდით და ახლა ქალებიც გამოხტენ:

ოულერია ვინცხა დედაკაცს თავი, მოგვდგომია და „ანასუნ-ბაბასუნობით“ აღარ გვზოგამს!.. ამისთანა ურცხობაც იქნება... ბაგონილ., შენი ჭირიმეთ, მანდილოსნისაგან გაზეთებში თავის გამოტანა და ქვეყნის შედავება?.. დედა-კაცო, რათ ირჩევთ წინამძღომლებსო, რომ გვეკითხები, თუ შენ გონიერი იყო, ფითვან გეცოდინება! არ იცი, რომ ეს სიტყვა „წინამძღომელი“ ორი ლექსისაგან არის გადაბმულათ შემდგარი: „წინა“ და „მძღომელი“, ე. ი. ვინც წინ-და-წინ გაძლებს და ისინიც ამორჩევის დროს წინეთ სადილებს გვიკეთებენ ამომრჩევლებს, გვაძლებენ და მიტომ ვაძლევთ წინა-მძღომელობას!.. აპა თქვენ რომ გვითითებთ, იმათთანები რომ ამოვირჩიოთ, ქვე არ დავწყდით შიმშილით!.. იმათ რომ თითვან არა აქვთ-რა საჭმელი, ჩვენ რავა გაგვაძღებენ?.. და ამ ქვეყანაში გაძღომაა პირველი საქმე... ქრისტე მეუფემ, ვენაცვალე მის ძლიერებას, ვინ იცის რამდენი სხვა და სხვა სასწაული ქნა, მარა გევრს არ ეჯერა სანამდი ხუთი ათასი არ გაძღო და მაშინ კი ყველამ იწამა... არ გაგიგონიათ:

მშიერი კუჭი ჭუჭყუნობს,
ჭკუა-გონებას სწუნობსო,
მაძღარი რომ აბოყინებს—
ის გულთან ქალაჩუნობსო!..

მარა, ბევრი რა გელაპარაკო შენ!.. ქალი ხარ და ქარი!..

იმერელი.

—

დიდის სიამოვნებით ვბეჭდავთ ამ თქვენ სტატიას, ბ. იმერელო!.. მართალსა ბრძანებთ, თქვენმა სიცოცხლემ. მხოლოდ ამორჩევის ნიჭსა და გონებას ტყვილათ აწერთ თქვენ საზოგადოთ ჩვენს ხალხს... წინამძღომელებს და დეპუტატებს ჩვენი ჩინოსნები ირჩევენ და არა ხალხი. ხალხს ვინ მისცა იმდენი ჭკუა—შესცდებოდა...

ხკაკი.

და ბევრი ეცემნა ქ. ნუხის გემოვნებაზედ გაკეთებულ გძელ მათრახით. ესეც ამისი წამალი. სხვას გლეხ-კაცს რაღას უზამს?

ბლაღოჩინისთვის შეეჩივლა პრიჩედნიკს; მაგრამ ზურგი მიეშვირნა და მთავრობას არ დაასმინა ამისთანა უწესობა.

ეს ერთი თვე იქნება, რაც გაჩნდა ხალხში ერთნაირი ჭირი, რომელიც ბევრს ამგზავრებს საიქიოს ბ. პარ-კის აცნობეს რაპორტით, მაგრამ ჯერ-ჯერობით წამალი არ დაგვდებია და ისევ ხმალ-ამოღებული დაუნახავი მტერი მუსრს ავლებს. ამ დალოცვილმა დრო მაინც იცოდეს, განა არ იცის, რომ ეხლა ხალხს სიკვდილისთვის არ სცალიან?

ამას წინათ მომიხდა ქ. ნუხში წასვლა ჩემ საკუთარ საქმისთვის, გავიარე ნუხის ბაზრის უპრავლენიის გვერდით, სადაც დავინახე რაღაცას სწონავდნენ. ერთ ნაცნობს ვკითხე ეს და მითხრა: კალიას კვერცხებს ვსწონავთ, რომლებიც სოფლელებს მოაქვთ, ამ ადგილობრივ ნაჩალნიკის განკარგულებითა, თავიანთ მინდვრებიდგან და ვყიდულობთ გირვანქას სამშაურათათ. ხელშიაც ეჭირა კალიის კვერცხებით სავსე პარკი.

დიდი მადლობის ღირსია ვისაც დაუვალებია ეს საქმე. დრო არის, რომ ძებნა დაუწყოთ იმისთანა ადგილებში ჩვენი პირველი მტრების კვერცხებს, რომლებიც წლევანდელი ზამთრის წყალობით, არ დაიძროდნენ და უტყუვრათ გამოიჩეკებიან.

შუა ბაზარზედ გავიარე. თითო ფეხის გადაბიჯებაზედ მთხოვარა მიხვდებოდა მთხოვდა შემწეობას. განა არ შეიძლება, რომ ადგილობრივ ადმინისტრაციამ ყურადღება მიაქციოს ამისთანა მოვლენას, მეტადრე უფრო იმისათვის რომ მთხოვნელი ხალხი არის სულ ჯეელი და სალი; ან კიდევ გაგზავნოს მინდვრებში კალიის კვერცხების დასაგროვებლად, რომლითაც საწყალი ხალხი, ერთის მხრით, თავიანთ მუცლის გამოსაკვებ ფულებს იშოვნიან დაუყვედრებლივ და მეორეთ კიდევ მტერს მომავალ დანთქმიდგან შეამცირებენ?! მე მგონია, რომ ბევრი ხალხი მოგროვდება, რადგან ნუხის მაზრაში ბევრი საწყალი ხალხი არის ქალაქ გარდა. საქმე რომ არა აქვთ, შიმშილი და სიტიტვლე რომ აწუხებთ, მიდიან თხოულობენ და ან ქურდობენ. ვიმეორებ, კარგი იქნება ადმინისტრაციამ საქმე გაუჩინოს ამათ.

ნუხში ვნახე ფოტოგრაფი ალ. როინოვი, რომელიც მიემზადებოდა სოფ. ვართაშენში (ნუხის მაზრაშია). იმის ახლო-მახლო ბევრ ძველთაგან დანარჩომ ნაშთებს ამბობენო და მინდა გადავიღო იმათი სახეო და იქიდგან დაღესტანში გადავალო.

აქვე დაღესტნის ლეკები ვნახე, რომლებმაც მითხრეს რომ არახველუში (სამურის მაზრაში) მეჩითში თქვენი ინჯილი (სახარება) არისო, მოლლები ძრიელ მოწიწებით ინახავენ ერთ ფაქიზ ადგილასაო და პატივსა სცემენო, რადგანაც ფეღამბრის (მოციქულის) დაწერილი არისო.

მეორე ლეკებმა მითხრეს: წახურში (ისიც სამურის მაზრაშია) ერთი მეჩითი არის, რომლის კარის ბჭეში ატანია ერთი დიდი ქვა და ამ ქვაზედ აწერია ქართულათ და თათრულათაო, რომ ჩვენ წახურულები ვყოფილვართ 700 წლიწადი ქრისტიანები, გვიმსახურნია ისა (იესო) ფეღამბრისათვინაო და მერე, ჟამთა ცვლებისა გამო მიგვიღია მაჰმადიანობაო. გარდა ამისა, ბევრ ადგილს წახურში არის ნანგრევები, რომლებსაც წახურელები ნასაყდრებს ეძახიანო.

რამდენათ ეს ამბავი ჭეშმარიტია არ ვიცი. მხოლოდ კარგი იქნება, რომ ესენი ნახოს როინოვმა და მოაგროვოს მასალები არხეოლოგიურ საზოგადოებისთვის. იქნება მართლა იყოს სახარება და წარწერილი ქვა. მომეტებული ლეკნი აგებულებით ქართველებსა ჰგვანან და ბევრნიც ქართველები გეგონებიან ხოლმე. ესენი მეტად მალე სწავლობენ ქართულს. ამ ინგილოების გარს შემორტყმული არიან თათრები; იმათ ერთმანეთში მისვლა-მოსვლა აქვთ, მაგრამ არც ერთმა ქართული არ იცის, ლეკმა კი თითქმის მომეტებულმა იცის, ქართული და აგებულებითაც ჰგვანან არახულელი და წახურელი ლეკები ქართველებს.

საწყლაძე.

# სამართალი

## ხელმწიფის მკვლელების საქმე.

### სენატის სასამართლო

ხუთშაბათი 26 მარტს, დილის 10 საათ.

ერთის საათით ადრე სასამართლოს დაწყებამდინ დაიწყეს ხალხის შეშვება სასამართლოს ზალაში. ზალაში შესვლამდინ ორ-სამ ალაგას დაყენებულნი არიან ბილეთების გასასინჯავათ.

ზალა ახლად გადააკეთეს. შეელაზედ პირველად, შესვლისა-თანავე, ყურადღებას იქცევს დიდი სურათი განსვენებულის იმპერატორისა მძიმე შავებით დაფარული. პირ-და-პირ მოსამართლეების სამჯდომებისა დამნაშავეთ სამჯდომებია. ამათ შუაში სტოლი „მართებლობის მოამბის" სტენოგრაფისათვის. დანარჩენთ წარმომადგენელთ რუსეთის და უცხო ქვეყნების გაზეთებისას უჭირავთ პირველი რიგი სკამებისა ხალხში. მთელ ზალაში 150 კაცისათვის არის ალაგი.

სხდომის დაწყებისა-თანავე შემობძანდა პრინცი პეტრე გეორგის-ძე ოლდენბურგსკი. წარჩინებულ პირთაგან ბრძანდებიან — იუსტიციის მინისტრი, სამხედრო, ფინანსის, სტატს-სეკრეტარი გროტი, გრაფი ბარანცევი, გრაფი მუსინ-პუშკინი და ბევრი სხვები.

სწორეთ 11 საათზედ შემოვიდნენ მოსამართლენი: თავ-მჯდომარე ფუქსი, ხუთი სენატრი და ოთხი სხვა და სხვა წოდებათა წარმომადგენელი.

უბრძანეს დამნაშავეთ შემოყვანა. საზოგადოების ყურადღება იმ კარებზედ არის მიქცეული, საიდამაც ესენი უნდა გამოიყვანიან. ჟანდარმების და კანვოების წინამძღოლობით შემოიყვანეს სათითოოთ პრალდებულნი და დასვეს შემდეგის რიგით: რისაკოვი, მიხაილოვი, ჰესსე ჰელფმანი (ურიის ქალი) კიბალჩიჩი, პეროვსკის ქალი და ჟელიაბოვი

რისაკოვი — ერთის შეხედვით 20 წლის ქერა ახალ-გაზდაა, თმები უკან აქვს გადავარცხნილი, მაღალი შუბლი, კალმიკის სახე აქვს, პატარა თვალები-ღრმათ ჩამჯდარნი. თავი უბრალოთ უჭირავს — სრულიად სანდომიანი შეხედულება არა აქვს.

მიხაილოვი — აგრეთვე ქერაა, სრული ტანისა, მოსრული, გრძელი თმებით, უკან ფაქიზათ შეკრეჭილით; პატარა, ქოჩფა ულვაშებზედ მუდამ ხელს ისობს. თავს სწორეთ იჭერს და სულ მოძრაობაშია.

ჰესსე ჰელფმანი — ახალ-გაზდა, ულამაზო, პატარა ტანის, ებრაული ტიპის სახე. შავი სქელი თმა უკან ერთათ თავ-შეყრილი, აწეული ცხვირი, 20 წელზე ცოტა მეტისაა, მაგრამ გაყვითლიბული პირის სახე უმატებს ხნოვანებას.

კიბალჩიჩი — შავგვრემანი, შუატანის, გამომეტყველი სახე; ერთი შეხედვით 30 წლისაა, პატარა წვერ-ულვაში.

პეროვსკის ქალი — ქერაა, პატარა ტანის, პატარა სახე, 27 წლისა, მაგრამ ერთი შეხედვით უფრო მცირე წლოვანსა ჰგავს.

ჟელიაბოვი — შეელაზედ უფროსი დამნაშავეთა შორის. შეხედვით 30 წლის მეტია; მაღალი ტანისა, მოშავო გრძელის წვერით და ულვაშებით. გამომეტყველი სახის; შთაბეჭდილებას ახდენს, როგორც მაგარი ხასიათის და გამბედაობის შეხედულობის კაცი.

სწორეთ შუა დღეზედ ობერ-სეკრეტარი პოპოვი შეუდგა ბრალმდებელი ოქმის კითხვას. საზოგადოებაში ჩამოვარდა მყუდროება, ყველა ყურადღებით ისმენდა ოქმის კითხვას. ბრალმდებელი ოქმი ორია: ერთი ვრცელი, რომელიც შეიცავს მოქმედებას ხუთ დამნაშავისას და მეორე — დამატებითი, რომელიც საკუთრათ კიბალჩიჩს შეეხება.

ამ ოქმების კითხვა გაგრძელდა თითქმის ორი საათი.

დამნაშავენი სრულის ყურადღებით ისმენდნენ ოქმის კითხვას. განსაკუთრებით ყურადღებათ იყო ჟელიაბოვი.

შემდეგ ოქმის წაკითხვისა თავმჯდომარემ ფუქსმა ჰკითხა სათითოოთ ყველას. ამათი პასუხი ტელეგრამით უკვე შეტყობილი გვაქვს.

შემდეგ დააფიცეს მოწმენი და სხდომა შეწყვიტეს 6 საათზედ; 9-ზედ ხელი-ახლად დაიწყო სხდომა.

ამბობენ, მთელი ეს პროცესი 3-4 დღეზე გათავდებაო.

# მწერლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვეფხის ტყაოსანი.

(მეცამეტე სხდომა რედაქციისა, 31 მარტს.)

თავმჯდომარე: თავ. დ. გ. ერისთავი. შჩეულო დამსწრე: ნ. ი. ნიკოლაძე.

სანამ კითხვა დაიწყებოდა, ბატონმა უმიკაშვილმა მიჰმართა ყრილობას მცირე საყვედური, როგორც ის ამბობდა, ზოგიერთა რედაქციის წევრთაგან დამსახურებული. „საზოგადოებაში — ბრძანა ბატ-მა უმიკაშვილმა — ვრცელდება უსაფუძვლო ჰაზრი ვითომ ჩვენ აქ შევყრილ ვიყოთ და ვასწორებდეთ ვეფხის-ტყაოსანს... ჩვენი რედაქციის წევრნი ამ ხმას არ უნდა აძლევდენ გზას. ყოველს შემთხვევაში, ყოველს ადგილში, საცა იმათ მოხდებათ ამაზე მუსაიფი უნდა ლაპარაკობდნენ ამ ხმის წინააღმდეგ და განმარტებდნენ ნამდვილ დანიშნულებას რედაქციისას, რომელიც მხოლოდ ათანხმებს ერთმანერთთან ხელნაწერ ვარიანტებს და თავის მხრით არც ერთ ასოს არ ასწორებს პოემაში... ბატონი უმიკაშვილი, უეჭველია, ამ საგანზე უფრო დალაგებით გამოელაპარაკება საზოგადოებასა ამ გაზეთისავე შემწეობით.

გაარჩიეს მეათე თავის 33 ხანა. გასწორდა:

### ა) ტექსტში.

| ხანა. | დაბეჭდილია | | გასწორდა |
|---|---|---|---|
| 1 | ჰკპატრონობს | — | ვპატრონობ |
| 2 | მონასხრპანია | — | მონასხპანია |
| 3 | ექმნათ | — | ექმნა |
| ,, | მათთა სიკეთე | — | .... სიმაღლე |
| 5 | ჯერთაცა | — | ჯერეთცა |
| 8 | შემოვლნე | — | შემავლო |
| 9 | ზედა | — | ზედან |
| 12 | უარია | — | უარეა |
| ,, | იდუმალვა | — | იდუმალ-ვა |
| ,, | მუღან | — | მოღან |
| 13 | აქეთ | — | აქათ |
| ,, | ზენარითა და | — | ზენა-არითა, |
| 16 | არა მკვირსა | — | არ მიკვირსა |
| ,, | შენთა მუქთა | — | შენნი მუქნი |
| ,, | შემომადგა | — | შემომადგეს |
| 19 | მასი გამერელი | — | მისსა გამერელსა |
| 20 | ხატავეთს | — | ხატაეთს |
| 22 | მითხრობს | — | მითხრეს |
| ,, | მოგასხენნით | — | მოგასხენნით |
| 24 | გვერცა | — | გვერდსა |
| ,, | ბრძენი | — | ბრძენნი |
| 26 | ცოტათა | — | ცოტათი |
| 28 | ჰსცნო | — | ცნა |
| 29 | მოასხენე | — | მოვასხენე |

### ბ) სხოლიოში.

| ხანა. | ტექსტია | | ვარიანტია |
|---|---|---|---|
| 1 | ტარიელსა | — | ტარიერსა |
| ,, | ჰპატრონობს | — | ვპატრონობ |
| ,, | წიგნსა | — | კაცსა |
| 2 | მოკრბეს | — | მოკრბა |
| ,, | ჩემკენ | — | ჩემკერძ |
| ,, | მონასხპანია | — | მონასხრპანია |
| ,, | ერთობ | — | სრულად |
| 3 | მათთა სიმაღლე | — | ... სიკეთე |
| ,, | აბჯრისა | — | აბჯართა |

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 | მივქდ | — | მოვქდ |
| ,, | საგუბარი | — | ნაგუბრითა |
| 6 | მეტად | — | დია |
| 10 | მისცენ | -- | მივეც |
| 11 | გაგზავნა | — | გაშვება |
| 12 | მამაკაცის | — | მამაცისა |
| ,, | უარეა | — | აუგია |
| 13 | ზენა-არითა | — | ზენარითა და |
| ,, | გეცრუვო | — | გიტყუო |
| 14 | გაგიმარჯვდეს | — | გაგემარჯოს |
| ,, | გაუყრელად | — | გულისათვის |
| 16 | მე | — | შენ |
| ,, | არა | — | არ ვინ |
| ,, | შენნი შუქნი | — | შენთა შუქთა |
| ,, | შემომადგეს | — | შემომადგა |
| 17 | ამით | — | მანვე |
| 18 | მადგეს | — | მადგის |
| 19 | ნაჩინისა | — | საჩინისა |
| 20 | არ გაივლიდეს | — | ვერ ეტეოდეს |
| 21 | ხატავებიდა | — | ვინ ხატავთ-ზედ |
| ,, | მან მითხრა მოციქულება | — | მოციქულება მომართვა |
| 22 | საშინელი | — | ულეველი |
| ,, | მითხრეს | — | მითხრობს |
| ,, | მოგასხენნით | — | {მოცავასხნეთ / მოგიძღვენით |
| 23 | ლვთითა | — | ღთულებ |
| 24 | დალატად | — | დალატით |
| 25 | წავიდეთ | — | წასვიდე |
| ,, | გვექიდნენ | — | გეგიდნენ |
| 26 | დაგვიდგამს | — | დაგვიდგნობს |
| ,, | ცოტათი | — | ცოტათა |
| 27 | სამსი | — | სამსნი |
| ,, | მევლოს | — | მევლნენ |
| 28 | უცხო | — | ტურფა |
| 29 | კზომ | — | უოვლი |
| ,, | მოვახსენე | — | {მევსთვალე / მოახსენე |
| 30 | ჩამოვხე | — | გარდავხე |
| ,, | საღამოდ | — | მას ღამე |
| ,, | ნახვასა | — | ხილვასა |
| 31 | მოგახსენებს | — | მოგეგებვის |
| 32 | უკმოერესწდა | — | უკმოერესწუდა |

ამათ გარდა სხოლიოშივე მოყვება მე-15 ხანა: მოვახსენე არ მეწყალვის...

მეათე ხანასი მეორე ტაეპი:

მან ბალიში დამართებით დასდვა მას მზედ საქებარსა

ვერ აიხსნა. ზოგან იყო ზედ საქებარსა, ზოგან მზედ საქებარსა... ნამდვილი აზრი კი, ნახევარი საათზე მეტის მუსაიფის შემდეგ, ისევ ისე უცნობი დარჩა, როგორც იყო.

დღეს იქნება მეთოთხმეტე ყრილობა.

ი. მეუნარგია.

# განცხადებანი

—

**დასყიდვის დროს** ინგლისის მაღაზიაში იყიდება შარვლები 4 მან-დამ. თელი ტანთ-საცმელი 14 მან., ტრიკო და პარუსინა 75 შაურიდამ არშ. ახალი სისტემის თოფები 1.560 და 100 მან. რევოლვერები 4 მან.—40მ-დი ქუდები და შლაპები თითო მანეთად უნაგირები 30 მ-დამ.; კონიაკი 1 ხარისხის 2 მან. ბოთლი, ძველი პორტ-ვეინი და ხერესი 1 მან. 40 კ. შამპანის ღვინო 3 მან. კამფეტები 35 კ-დამ გირვ.; შოკოლადი 1 მან. 20 კ. გირვ. და ჩაი უქაღალდოთ 1 მან 60 კ. უკეთესი მოსკოვი 2 მ. 20 კ-ნი ქაღალდში.

იქვე მრავალი ტახტები, ფოდნოსები, კლიტეები, დანები, კოვზები, კალმები, ქაღალდი, კლიონკა, საურველი, ჩოთქები, ჰურჰლები, სტაქნები, მურაბები, და 16. 30 პროცენტით იაფათ ვინემ სხვაგან. (15—2)

---

### იაგორ კასუმოვის და ამხ.

სავაჭრო სახლში მიღებულია სამღვარგარეთიდან საოჯახო საუკეთესო ძვლის სავარცხლები სხვა და სხვა ზომებისა. ისყიდება არა ნაკლებ ნახევარ დუჟინისა ფაბრიკის ფასებით. (3—1)

---

თფილისის კრუჟოკში

ექიმი ა. ბაბაევი

წაიკითხავს საზოგადო ლექციებს

# წყლით ექიმობაზედ

პირველი ლექცია იქნება შაბათს, 4 აპრილს.

შემოსავალი ლექციებიდამ დანიშნულია იმპერატორის კავკასიის ექიმთა საზოგადოებისაგან სახალხო ბროშიურებს გამოსაცემათ საექიმო-გიგიენურის შინაარსით რუსულ და ადგილობრივ ენებზედ.

ადგილების ფასი: 2 მან., 1 მან., 50 კ. და 25 კ. ბილეთები ისყიდება კრუჟოკის შვეიცართან, შავერდოვთან და სტ. ბარისოვის მაღაზიაში.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

(2—2)

---

**ძმ. სალი-ოღლის თამბაქოს ფაბრიკისაგან.**

რადგან ზოგიერთი თფილისი მეთამბაქოები, რომელთაც თავის საკუთარი კარგი თამბაქო არა აქვთ, **ჩვენი ეტიკეტების მსგავს ეტიკეტებს აკვრენ** თავიანთ პაპიროზებსა და თამბაქოს და ამ თ **ატყუებენ** გამოუცდელ და წერა-კითხვის უცოდნელ ხალს, ამის გამო ჩვენი ფაბრიკა საჭიროდ რაცხს გამოაცხადოს, რომ ამ მოტყუების თავიდამ ასაცდენად, ყველა მყიდველმა თამბაქოისა და პაპიროზებისა გასინჯოს ჩვენი ფირმის ზედ-წარწერა: **ოსმალოს ქვეშევრდომი ძმები სალი-ოღლი.**

ფაბრიკა სალი-ოღლისა.

(5—4)

---

განჩაროვის ქალის მაღაზიაში,

განოვის ქუჩაზედ სოლოლაკში მიღებულია მრავალი გულისპირები და თავსაკრავები. (5—3)

---

**[ნაღ]დ-ძალ საქონლის დასყიდვა**

ფაბრიკის ფასებით, **ინგლისის მაღაზიაში,** არწრუნის გალერეიაში.

იქვე ისყიდება: წყლის-საწურავი მაშინები, დოგვი, სახამებელი, კაკაო, შოკოლადი, სტაქნები და სახის დასამშვენებელად რძის, ნუშის და გლიცერინის საპონი; ახალი სისტემის თოფები. (10—10)

---

# ქუთაისში

„ივ. ნიკოლაძე და შვილების" მოდის მაღაზიაში მიღებულია სხვა და სხვა ნაირი საქონელი **სადღესასწაულოდ** რომელიც 25° ნაკლებ იყიდება ვიდრე სხვა მაღაზიებში. იქვე იყიდება ჰორფლის წამალი და გამამშვენიერებელი ლეკანდეს.

(10—9).

---

ინგლისის მაღაზიაში

თმის ამ-ყვავი



მაკ-ქას ტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

(150—55)

---

### ბევრი კრაოტები

ფოდნოსები, კლიტეები, კალმები, ქაღალდები, თოფები, რევოლვერები, სტაქნები, ციტრატ-მაგნეზია, კანფეტები, მურაბები და სხვ. ისყიდება **ინგლისის მაღაზიაში.**

იქვე: პალტო 12 მან—დამ, შარვლები 4 მან—დამ, ტრიკო 70 კ. ალაბი, თეფშები 12 კ. ერთი, ქიახტის ჩაი პირ-და-პირ მოსავლის ადგილიდამ მიღებული 1 მან. 5 კ.—2 მან. (უმშვენიერესი) გირვ: უქაღალდოთ. ერთი ვაგონი მურაბები 85 კ. (20—16

---

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ. მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** საავენტო ბარნსბის უნაგირების გასასყიდდათ, ჯონსის კ[illegible]ბის, შოკოლადისა და ეკსტრაქტის [illegible] ქრის, რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. გაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ **ინგლისის მაღაზიაში.** მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვლების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა.

100—47

---

### ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ქიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად დ ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჰიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შროთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...

(100—50)

---

### დასყიდვა ფასებით:

საზამთრო პალტოები 12 მანეთიდამ; ფუფაიკები 2 მან. 50 კ.; ქუდები 1 მანეთიდამ., ფოდნოსები 5 კაპეიკიდამ; თეფშები 12 კაპ. თითო; ინდუსის ბრინჯი 10 კ. გირვ.; ინგლისური კამფეტები 40 კაპეიკიდამ, და ჩაი, რომელიცა ყველგან 2 მ. 50 კ. ღირს, ისყიდება 1 მან. 80 კ.

**ინგლისის მაღაზიაში,** არწრუნის გალერეიაში. (20—16).

---

ხველის კამფეთები 40 კაპეიკიდამ გირვანქა; ქინაქინის ღვინო ციებისათვის—10 მან. 50 კაპ. ბოთლი, სპარსული შარბათი და ციტრატ-მაგნეზია თითო ბოთლი—70 კაპ., საუკეთესო კონიაკი—2 მან. და ძველი პორტ-ვეინი და ხერესი 1 მან. 40 კ. წმიდა სანთლები და მშრალი საპონი

**ინგლისის მაღაზიაში.**

(20—18)

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლად პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩევინი ზეთისა) და სხვ. საავენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად განფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭავჭავას იგარები. (100—47)

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 Апрѣля 1881 г Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.